ხუთი ბურთი – ხუთივე თავით

ფეხბურთის მოყვარულნი დიდი ინტერესით ელოდნენ 12 დეკემბრის განმეორებით მერვედფინალურ მატჩს, უეფა–ს თასზე ლონდონის "ტოტენჰემ ჰოტსპურისა" და თბილისის "დინამოს", შორის, რომელიც "ტოტენჰეშის" მინდორზე – "უაით პართ ლეინის" სტადიონზე შედგა. ამ გუნდების პირველი მატჩი, როგორც ცნობილია, თბილისში ფრედ დამთავრდა – 1:1.

თუ ევროპის საკლუბო ტურნირების პრაქტიკით ვილაპარაკებთ, გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ ინგლისელებს, რომლებმაც მეტოქის მინდორზე შეძლეს ქულის აღება და შინ საკუთარი კედლების "დახმარებით" თამაშობდნენ. მაგრამ ფრე ფრეა და თბილისელებს, გარდა იმისა, თუ მოიგებდნენ საპასუხო მატჩს, შეეძლოთ ასევე ფრედ ეთამაშათ, ოღონდ ანგარიშით 2:2, 3:3 და ა. შ. არც 1:1 გამორიცხავდა მეოთხედფინალში დინამოელთა გასვლის შესაძლებლობას, ვინაიდან დამატებითი დროის შემდეგ ორივე გუნდის კარში დაინიშნებოდა 11 მეტრიანების სერია.

მაგრამ სინამდვილეში თავდაყირა დააყენა მერვედფინალის ხსნის ყოველგვარი იმედი ინგლისელებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი, გავიდნენ მეოთხედფინალში, ხოლო თბილისის "დინამოს" მონაწილეობა უეფა–ს თასის მიმდინარე გათამაშებაში ამით ამოიწურა.

მთელი მატჩი ტრასლირებული იყო ტელევიზიით, ამიტომ მისი ცალკეული დეტალების გახსენება აღარ ღირს. ვიტყვით მხოლდ რომ, როგორც ეს წლულს არაერთხელ მომხდარა სსრ კავშირის ჩემპიონატისა და თასის მატჩებში, თბილისელებმა ძალიან არაორგანიზებულად, არასწორად ითამაშეს მეორე ტაიმში და სასტიკი მარცხიც სწორედ ამ პერიოდში იწვნიეს.

ტერიტორიული უპირატესობა თავიდანვე მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ პირველი 45 წუთის მანძილზე დინამოელები არათუ ახერხებდნენ ამ იერიშების მოგერიებას, თვითონაც ხშირად გადადიოდნენ კონტრშეტევაზე და სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ მოპირდაპირე კართან. თუმცა, ისინი ძალიან ბევრ დროს კარგავდნენ შუა მინდორში და, სანამ ამ ზონას გაივლიდნენ, "ტოტენჰემის" დაცვას ყველაფერი მოწესრიგებული ჰქონდა თავის ნახევარზე.

რამდენჯერმე შეასრულა სწრაფი გარღვევა მარჯვენა ფრთიდან გუცაევმა, მაგრამ მისი მოწოდებული ყველა ბურთი ინგლისელთა მცველების "საკუთრება" ხდებოდა.

სულ სხვაგვარი იყო ინგლისელთა ფლანგური გარღვევები, რასაც უმთავრესად ასრულებდნენ კოუტსის და მაგრათი. ყოველი ასეთი გარღვევა მთავრდებოდა ცენტრალური თავდამსხმელების ჩივერსისა და პიტერსის სწრაფი გასვლით მაღალ ბურთებზე და კარში თავური დარტყმით. ინგლისელებმა ეს მანევრი რამდენიმეჯერ წარმატებით შეასრულეს და, როცა დარწმუნდნენ, რომ თბილისელები უმწეონი იყვნენ მის წინააღმდეგ. თავიანთი შეტევის მთავარ იარაღად აქციეს იგი და სწორედ მისი მეშვეობითაც გაიმარჯვეს.

"ტოტენჰემ პოტსპური" პროფესიული ხელოვნებით აკეთებდა იმას, რასაც მისთვის წარმატება უნდა მოეტანა. პირდაპირ უნდა ვთქვათ, "დინამოს" ცენტრალურმა მცველებმა ვერაფერი გააწყვეს ჩივერსისა და პიტერსის წინააღმდეგ. მაღალი ბურთებისთვის ბრძოლაში, მეკარე გოგია გადამწყვეტ მომენტებში ამ ეპიზოდებში არ ერეოდა და საქმეც არსებითად ამ თითქოს ელემენტარულმა ამბავმა გადაწყვიტა.

ანგარიში 28–ე წუთზე გახსნა მაკგრათმა, რომელსაც არავინ შეუშალა ხელი თავით მიეღო მაღალი ბურთი და დაერტყა მიზანში– 1:0.

განახლდა თამაში შესვენების შემდეგ და 52–ე წუთზე კოუსტმა მაღალი ბურთი მიაწოდა ჩივერსს: თავური დარტყმა –2:0.

ამ თითქოს უიმედო სიტუაციაში დინამოელებმა შეძლეს საპასუხო გოლის გატანა. ბურთი გაიტანა ებრალიძემ. ცოტა ხანს გუნდი მაღალი ტემპით აქტიურად თამაშობდა, მაგრამ მერე როცა მე–60 წუთზე მაკგრათ–პიტერსის კომბინაციის შემდეგ "დინამოს" მცველებმა ვერ შეძლეს ხიფათის ლიკვიდირება, ხოლო გოგიამ დააგვიანა წინ გამოსვლა, "ტოტენჰემის" ცენტრფორვარდმა მესამე ბურთი გაიტანა (რა თქმა უნდა, თავით) და ნათელი შეიქმნა, რომ მატჩი წაგებული იყო.

მაგრამ ანგარიშიც არის და ანგარიშიც. დარჩენილ დროში ჩივერსმა და პიტერსმა კიდევ ორჯერ მოიგეს საჰაერო დუელი და საბოლოოდ დააგვირგვინა მატჩის ანგარიში –5:1 "ტოტენჰემის" სასარგებლოდ.

მეტოქეები ასეთი შემადგენლობებით თამაშობდნენ: "ტოტენჰემ ჰოტსპური"– ჯენინგსი, ევანსი, ნეილორი, პრატი, ინგლენდი, ბილი, მაკგრათი, პერიმენი, ჩივერსი, პიტერსი, კოუსტი. "დინამო": – გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ.მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი. (ლ. ნოდია), გ. ნოდია, ყიფვიანი.

ლელო 14 დეკემბერი 1973 წ.